

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 აპრილის №833 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №48

ქ. გურჯაანი

2020 წელი 19 მარტი

სატენდერო კომისიის შემადგენლობა:

თეიმურაზ ზავრაშვილი - კომისიის თავმჯდომარე, მერის პირველი მოადგილე;
წევრები:

სიმონი ქოჩორაშვილი - მერის მოადგილე;

ვლადიმერ მუსალბიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი;

კონსტანტინე ბერიძეშვილი - მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

ნატო გონგაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ნანა ჭაბუკაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა:

ნინო ქაჩლიშვილი - ეკონომიკის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

ბიჭიკო მაისურაძე - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი:

ელექტრონული ტენდერის საშუალებით სოფელ არაშენდის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოს შესყიდვის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება;

კომისიამ განიხილა:

სატენდერო კომისიამ იმსჯელა სამუშაოების მიწოდების ვადების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 დეკემბრის #2661 განკარგულების საფუძველზე ერთი სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში 200000 (ორასი ათასი) ლარის სამშენებლო სამუშაოს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ 15¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში შესყიდვის შესახებ. სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს და აღნიშნეს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს. კენჭისყრის შედეგად (6 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) კომისიამ დაადგინა

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით სოფელ არაშენდის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოს შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია, სავარაუდო ღირებულებით 180276 ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვროს 60 (სამოცი) კალენდარული დღე, ხოლო სატენდერო წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი - 1800 ლარი.

2. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის საფუძველზე ელექტრონული ტენდერი ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე, აბრევიატურით - NAT.

3. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 დეკემბრის #2661 განკარგულების საფუძველზე სამუშაოების შესყიდვა განახორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ 15¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

4. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სისტემაში ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე:

თ. ზავრაშვილი

წევრები:

ს. ქოჩორაშვილი

ვ. მუსალბიშვილი

კ. ბერიძეშვილი

ნ. გონგაძე

ნ. ჭაბუკაძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ნ. ქაჩლიშვილი

ბ. მაისურაძე